გამოცდილების შესახებ მოთხოვნები

2014 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული და შესრულებული უნდა იყოს შემდეგი ტიპის და მოცულობის მომსახურება და სამუშაოები:

მომსახურება:

ან არაუმეტეს 5 (ხუთი) დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში, ჯამურად სულ მცირე 750,000.00 ლარის ღირებულების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, სპორტული ობიექტ(ებ)ის მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის, საიდანაც მინიმუმ 1 (ერთი) დასრულებული ხელშეკრულება სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს ჰოკეის და/ან ფიგურული სრიალის ყინულის ახალი მოედნის (ზომებით: არანაკლებ 60X30 მ) მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციას (პირობა N1), ან არაუმეტეს 1 (ერთი) დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში, სულ მცირე 300,000.00 ლარის ღირებულების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ჰოკეის და/ან ფიგურული სრიალის ყინულის ახალი მოედნის (ზომებით: არანაკლებ 60X30 მ) მოწყობის სამუშაოებისთვის (პირობა N2). ნებისმიერი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღნიშნული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია სავალდებულოდ მომზადებული უნდა იყოს საქართველოს, ევროკავშირის (EU), ან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ-სახელმწიფოთა ტერიტორიაზე განსახორციელებელი, ზემოთ აღნიშნული სამუშაოებისათვის, ამასთან არ განიხილება იმ ქვეყნების რეზიდენტი მიმწოდებლების გამოცდილება, რომელთანაც შემსყიდველის ქვეყანას (საქართველოს) არ გააჩნია, შეჩერებული, ან შეწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობები.

მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ამავე დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობები:

1. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების შესყიდვა განხორციელებული არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით და მომსახურების შესყიდვისა და მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები ატვირთული არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის ნომრის (SPA, NAT, CMR და ა.შ.) შესახებ.
2. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების შესყიდვა განხორციელებული არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების გარეშე, წარმოდგენილი უნდა იყოს დასრულებული ხელშეკრულებები და ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები.
3. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი და შემსრულებელი არის ერთი და იგივე პირი და არ არსებობს მომსახურების გაწევაზე გაფორმებული ხელშეკრულება, შესაძლებელია

ხელშეკრულების ნაცვლად წარმოდგენილი იყოს მომსახურების გაწევის დამადასტურებელი, სხვა მხარის მიერ გაცემული, მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული დოკუმენტი.

4. საზღვარგარეთ გაწეული მომსახურების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტები სავალდებულოდ დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამუშაოები:

ან არაუმეტეს 3 (სამი) დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში, ჯამურად სულ მცირე 25,000,000.00 ლარის ღირებულების, სამოქალაქო, ან სამრეწველო (სამრეწველოს შემთხვევაში: დახურული ტიპის, არანაკლებ IV კლასის) დანიშნულების შენობ(ებ)ის მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის (არ განიხილება მცირე სარემონტო სამუშაოები) სამუშაოები, საიდანაც მინიმუმ 1 (ერთი) დასრულებული ხელშეკრულება სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს, სულ მცირე 10,000,000.00 ლარის ღირებულების, სპორტული ობიექტ(ებ)ის მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის (არ განიხილება მცირე სარემონტო სამუშაოები) სამუშაოებს (პირობა N1), ან არაუმეტეს 1 (ერთი) დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში, სულ მცირე 20,000,000.00 ლარის ღირებულების, სპორტული ობიექტ(ებ)ის მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის (არ განიხილება მცირე სარემონტო სამუშაოები) სამუშაოები (პირობა N2). ნებისმიერი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სპორტული ობიექტ(ებ)ის მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის სამუშაოები სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს საინჟინრო კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟის სამუშაოებს; ნებისმიერი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღნიშნული სამუშაოები შესრულებული უნდა იყოს საქართველოს, ევროკავშირის (EU), ან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ-სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, ამასთან არ განიხილება იმ ქვეყნების რეზიდენტი მიმწოდებლების გამოცდილება, რომელთანაც შემსყიდველის ქვეყანას (საქართველო) არ გააჩნია, შეჩერებული, ან შეწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობები.

სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ამავე დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობები:

1. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესყიდვა განხორციელებული არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით და სამუშაოების შესყიდვისა და მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები ატვირთული არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის ნომრის (SPA, NAT, DAP, DEP, CMR) შესახებ.

2. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესყიდვა განხორციელებული არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების გარეშე, წარმოდგენილი უნდა

იყოს დასრულებული ხელშეკრულებები და ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში სამუშაოების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები:
2.1. ხელშეკრულებები წარმოდგენილი უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოების უწყისებთან (ხარჯთაღრიცხვა) ერთად;
2.2. შესასრულებელი სამუშაოების უწყისების (ხარჯთაღრიცხვა) ცვლილების შემთხვევაში, წარმოდგენლი უნდა იყოს საბოლოო სახის (კორექტირებული) ხარჯთაღრიცხვა, დამკვეთის მიერ დამოწმებული შესაბამისი ცვლილების (შეთანხმების აქტი) დოკუმენტთან ერთად;
2.3. წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების უწყის(ებ)ი (ე.წ. ფორმა N2);
2.4. ფორმა N2 არის პირობითი დოკუმენტი, შესაბამისად ფორმა N2-ის ნაცვლად შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მოთხოვნილი ინფორმაციის მომცველი და შესრულების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტი;
2.5. ხელშეკრულებებითა და მისი დანართით (შესასრულებელი სამუშაოების საბოლოო სახის უწყისი (ხარჯთაღრიცხვა) და წარმოდგენილი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების უწყისებით (ე.წ. ფორმა N2) უნდა იყოს შესაძლებელი ობიექტის დასახელებისა და შესრულებული სამუშაოების ურთიერთკავშირის დადგენა, ამასთანავე შესრულებული სამუშაოების უწყისებით (ე.წ. ფორმა N2) გათვალისწინებული სამუშაოების დასახელება, მოცულობა და ფასები არსებითად არ უნდა განსხვავდებოდეს ხელშეკრულებითა და მისი დანართით (შესასრულებელი სამუშაოების საბოლოო სახის უწყისი (ხარჯთაღრიცხვა) გათვალისწინებული შესაბამისი მონაცემებისგან.
3. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი და შემსრულებელი არის ერთი და იგივე პირი და არ არსებობს სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულება, შესაძლებელია ხელშეკრულების ნაცვლად წარმოდგენილი იყოს სამუშაოების მიწოდების დამადასტურებელი, სხვა მხარის მიერ გაცემული, მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების ჩანაცვლება (ხელშეკრულების ნაცვლად წარმოდგენა), ხოლო სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები სავალდებულოდ წარმოსადგენია.
4. საზღვარგარეთ გაწეული მომსახურების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტები სავალდებულოდ დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.